

დამტკიცებულია შპს მარნეულის
კოლეჯის დირექტორის
2018 წლის 29 მარტის
N 21 ბრძანებით

შპს „მარნეულის კოლეჯი“

ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: ექთნის თანაშემწე (090551)
2. პროფესიული განათლების საფეხური: მესამე
3. განხორციელების ენა: ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.
5. პროგრამის მოცულობა: 90 კრედიტი (2250 სთ) კრედიტების 60 % (54 კრედიტი-1350 სთ) ეთმობა ექთნის თანაშემწის საქმეს და მასთან დაკავშირებული თეორიული დისციპლინების შესწავლას, ხოლო 40 % (36 კრედიტი-900სთ) სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას. პროგრამის ხანგრძლივობაა 73 კვირა, ეს პერიოდი მოიცავს თეორიული სწავლების, სასწავლო, საწარმო პრაქტიკის და საგამოცდო პერიოდს, სტუდენტის სრული დატვირთვა კვირების მიხედვით მერყეობს 28-40 სთ. ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში. კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში მოიცავს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას. ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში - პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდას.
6. პროგრამის ხელმძღვანელი: ნატალია გოგხია
7. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: მესამე საფეხურის ექთნის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხოს პირი, რომელსაც დამლეული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური და რომელსაც უდასტურდება ქართული ენის ცოდნა A2 დონეზე. ქართული ენის ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს: ატესტატი, თუ პირმა სასკოლო განათლება მიიღო ქართულ ენაზე; ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამის გავლის დოკუმენტი, ან ერთიანი ეროვნული გამოცდების ქართული ენის გამოცდის ჩაბარების დოკუმენტი, თუ პირი ვერ წარმოადგენს ასეთ დოკუმენტს, მიმღები კომისია უტარებს ენის კომპეტენციის განმსაზღვრელ გამოცდას, რომლის დადებითი შედეგიც აკმაყოფილებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას.
8. პროგრამის ავტორი: პროგრამა შემუშავებულია შპ მარნეულის კოლეჯის ჯანდაცვის მიმართულების პროგრამის განმახორციელებელი პირების/პროფესიული მასწავლებლების მიერ;

9. სფეროს აღწერა

საექთნო საქმე მიეკუთვნება ჯანმრთელობის დაცვის სფეროს. ექთნის თანაშემწე არის სამედიცინო პერსონალი, რომელიც მუშაობს ექთნის ან/და ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ. მისი საქმიანობა მოიცავს ზედამხედველობის ქვეშ ფიზიკური და ფსიქიკური დაავადებების მქონე, ასევე უნარშეზღუდულ და ტერმინალურ პაციენტებზე ზრუნვას; პრევენციულ და სხვა ტიპის ჯანდაცვით ღონისძიებებში მონაწილეობას

10. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური სამედიცინო მუშაკი, რომელსაც ეცოდინება საექთნო მოვლის ასისტირების მიზნები და ამოცანები; ასისტირების ძირითადი საშუალებები, ფორმები და მეთოდები; ურთიერთობის ფსიქოლოგია და ეთიკის ნორმები; რომელსაც შეუძლია საკუთარი თავისა და მოსავლელი ობიექტის დაცვა ინფექციის კერაში; პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა. რომელსაც ექნება პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ბაზისური და კლინიკური ცოდნა და უნარები, რისი აქტუალობაც დადასტურებულია შესაბამის დამსაქმებელთან და დარგის სპეციალისტებთან გამართული კონსულტაციების შედეგად (შპს ავერსის მარნეულის #1 კლინიკის მენეჯერის წერილი #6 (12/04/2013წ)). ორგანიზაციის მისიიდან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგები ორიენტირებულია კურსდამთავრებულის დასაქმებაზე და კონკურენტუნარიანობაზე. არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის დამატებითი ქართული ენის კრედიტები, წინაპირობაა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციისათვის და სრულფასოვანი კომუნიკაციისთვის.

11. სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება	<ul style="list-style-type: none"> ▪ იცის: პაციენტებთან და კოლეგებთან ურთიერთობის ფსიქოლოგია; ▪ იცის საექთნო მოვლის ასისტირების მეთოდები და საშუალებები; ▪ საკუთარი თავის და მოსავლელი პირის დაცვა ინფექციის კერაში მუშაობისას;
-----------------------	--

	<ul style="list-style-type: none"> ▪ პირველადი გადაუდებელი დახმარების მეთოდები სხვადასხვა სიტუაციებში; ▪ პალიატიური მზრუნველობის მნიშვნელობა და არსი; ▪ გერონტოლოგიის არსი და მოხუცებული ადამიანების მოვლის თავისებურებები; ▪ ფლობს ბიოლოგიური მეცნიერების საფუძვლებს; ▪ შეუძლია მარტივი მათემატიკური გამოთვლების ჩატარება, საშემოსავლოს ან სხვა გადასახადის გამოთვლა; ▪ იცის საკუთარი ადგილი ჯანდაცვის სისტემაში, პროფესიული უფლებები და მოვალეობები.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ მოვლის პროცესში პაციენტის ასაკის, დაავადების მიმდინარეობისა და სპეციფიკის გათვალისწინება; ▪ პაციენტის ხელშეწყობა საკუთარი თავის მომსახურების უნარების განვითარებასა და სწავლაში; ▪ შეუძლია სხვადასხვა ასაკის პაციენტის მოვლა სარეაბილიტაციო პერიოდში და პაციენტის ხელშეწყობა მარტივი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ფიზიკულტურის შესრულებისას; ▪ ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების ჩატარება; ▪ დეზინფექციის ჩატარება და სხვადასხვა კონცენტრაციის ხსნარების დამზადება; ▪ სხვადასხვა ასაკის პაციენტის მოვლა (სირთულის მიხედვით); ▪ პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა გარკვეული დამოუკიდებლობით; ▪ მოსავლელი პირის კვება, დაბანა, აბაზანის გაკეთება, ტრანსპორტირება; ▪ მოსავლელი პირისათვის მოსახერხებელი გარემოს შექმნა; ▪ გარეგანი მანიპულაციების ჩატარება; ▪ ნაწოლების პრევენცია; დაინფიცირებული ჭრილობის, წყლულების, ნაწოლების მოვლა; ▪ განავლის და შარდის მიმღები სისტემების გამოცვლა; ▪ ასისტირება სტრილური მანიპულაციების, შინაგანი პროცედურების, წამლების განაწილების დროს; ▪ პრეოპერაციულად პაციენტის მომზადება (კანის ჰიგიენა, ანტისეპტიკური დამუშავება) ▪ ექიმის ან ექთნის შენიშვნების და დავალებების შესრულება, მათი ინფორმირება პაციენტის მდგომარეობის შესახებ;
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ლოგიკური აზროვნება და ნატურალური რიცხვებით მოქმედების შესრულება. ▪ ადამიანის ორგანოთა სისტემების ამოცნობა, ძირითადი ფიზიოლოგიური პროცესების მიმდინარეობის პათოლოგიების ამოცნობა. ▪ პაციენტის მიერ წამლის მიღების რეჟიმის მონიტორინგი და რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში გარკვეული დამოუკიდებლობით გადაწყვეტილების მიღება; ▪ შეუძლია ინფექციური და ეპიდემიური რისკების ამოცნობა და ადექვატური ზომების მიღება ▪ ექთნის ან მკურნალი ექიმის შენიშვნების გათვალისწინება; ▪ შეუძლია გარკვეული დამოუკიდებლობით შეაფასოს მოსავლელი პირის ფიზიკური, ფსიქოლოგიური მდგომარეობა და გააკეთოს შესაბამისი დასკვნა. ▪ საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბება და დაცვა.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ შეუძლია პროფესიული საქმიანობის პროცესში აუცილებელი და გამოსაყენებელი ინფორმაციის, შინაგანაწესის, ხელშეკრულებისა და სხვა საჭირო ინფორმაციის გამოყენება; ▪ ურთიერთობის წარმართვა და კომუნიკაცია სახელმწიფო ენაზე პაციენტთან, პაციენტის ოჯახის წევრებთან, მედპერსონალთან; ▪ შეუძლია პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ლათინური ტექსტების წაკითხვა და გაგება; ▪ შეუძლია ოჯახის ან მკურნალი ექიმის ინფორმირება მოსავლელი პირის მდგომარეობის შესახებ; ▪ შეუძლია მარტივი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე; შეუძლია სახელმწიფო და უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება და ამ ინფორმაციის გააზრება; ▪ შეუძლია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება პროფესიული მოვალეობის შესრულებისას;

სწავლის უნარი	<ul style="list-style-type: none"> შეუძლია საკუთარი სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება; ზრუნვა პროფესიული განვითარებისათვის. შეუძლია მითითებული წყაროს მეშვეობით ინფორმაციის მოპოვება. აცნობიერებს შემდგომი სწავლის შესაძლებლობას და იღებს გადაწყვეტილებას სხვათა დახმარებით. შეუძლია ცოდნის გაღრმავება ქართულ და ინგლისურ ენაში, საინფორმაციო ტექნოლოგიების საგანში.
ღირებულებები	<ul style="list-style-type: none"> იცავს პაციენტებთან, კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს და მოქმედებს მათ შესაბამისად; იცავს სანიტარიულ ნორმებს; შეუძლია, პროფესიული პრობლემის წამოჭრისას გულისყურით მოეკიდოს საკითხს; კრიტიკული სიტუაციის დროს არ კარგავს კეთილგანწყობას პაციენტის მიმართ და არ განახორციელებს მასზე ნეგატიურ ზემოქმედებას; პაციენტის მიმართ არის კეთილგანწყობილი.

12. სწავლის შედეგების რუკა

სასწავლო კურსები/მოდულები	კომპეტენციების ჩამონათვალი					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
კომუნიკაცია 1				*		*
ინგლისური ენა				*		
ლათინური ტერმინოლოგია				*		
მათემატიკა	*		*			
სამედიცინო ქიმია	*	*				
გენეტიკის საფუძვლები	*		*			
ზოგადი ჰიგიენა	*	*				*
ადამიანის ნორმალური ანატომია	*		*			
ავადმყოფის მოვლა	*		*			
ბიოეთიკა	*	*				*
ბიოლოგია მიკრობიოლოგიის საფუძვლებით	*		*			
პრაქტიკა ანატომია		*	*			
სასწავლო პრაქტიკა 1		*	*		*	*

სწავლის შედეგების რუკა მეორე კურსი

სასწავლო კურსები/მოდულები	კომპეტენციების ჩამონათვალი					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
კომუნიკაცია 2				*		*
ინგლისური ენა				*		
საინფორმაციო ტექნოლოგიები		*		*		
საზოგადოებრივი ჯანდაცვა	*	*		*		
ინფექციის კონტროლი ავადმყოფის მოვლის საქმეში	*	*	*			
ფიზიოლოგია/პათოფიზიოლოგიის საფუძველ	*		*			
ავადმყოფის მოვლა	*		*			
ბავშვთა მოვლა/პედიატრია	*	*	*			
მეან-გინეკოლოგია	*	*	*			
მოხუცებულთა მოვლა/გერიატრია	*	*	*			
ფარმაკოლოგიის საფუძველები	*	*	*			
ფიზიოთერაპია	*	*				
პირველადი სამედიცინო დახმარება	*	*	*			
სასწავლო პრაქტიკა 2		*	*		*	*
საწარმოო პრაქტიკა		*	*	*	*	*

13. პროფესიული სტუდენტის სქემიანობა

პროფესიული სტუდენტის სასწავლო სექმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას,
- სამუშაო ჯგუფში მუშაობას,
- დამოუკიდებელ მეცადინეობას,
- სასწავლო პრაქტიკაზე ჯგუფში მუშაობას;
- საწარმოო პრაქტიკას,
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

14. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

1. ცალკეული სასწავლო კურსით გათვალისწინებული კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რასაც არეგულირებს მოქმედი პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და ეყრდნობა მინისტრის ბრძანებას №121/ნ ;
2. შეფასების სისტემა უშვებს:
 - ხუთი სახის დადებით შეფასებას:
 - (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% -100%;
 - (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

➤ **ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

თეორიული სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, რაც გადანაწილდება შემდეგ კომპონენტებზე:

- 1) მიმდინარე შეფასება 30 ქულა;
- 2) შუალედურ გამოცდა 30 ქულა;
- 3) დასკვნითი გამოცდა 40 ქულა.

სასწავლო პრაქტიკის კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, რაც გადანაწილდება შემდეგ კომპონენტებზე:

- 1) დასწრება-აქტიურობა 20 ქულა;
- 2) მიმდინარე შეფასება 20 ქულა;
- 3) შუალედურ გამოცდა 30 ქულა;
- 4) დასკვნითი გამოცდა 30 ქულა.

საწარმო პრაქტიკის კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, რაც გადანაწილდება შემდეგ კომპონენტებზე:

- დასწრება/აქტიურობა 20 ქულა;
- მიმდინარე შეფასება 20 ქულა;
- გუნდური მუშაობა 20 ქულა;
- დასკვნითი გამოცდა 40 ქულა.

სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის კრედიტები ჩაითვლება ათვისებულად, თუ იგი ჯამურად მოიპოვებს კურსის ყველა კომპონენტის დადებით შეფასებას არაუმცირეს 51 ისა.

სასწავლო კურსის კომპონენტების შესაფასებლად პროფესიული მასწავლებელი თავად ირჩევს შეფასების მეთოდს და ქულათა რანჟირებას, რაც დეტალურად არის გაწერილი კონკრეტულ სილაბუსებში.

15. სწავლების მეთოდები

ლექცია ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი - პროფესიულ სტუდენტებს უტარდებათ სალექციო კურსი, სადაც ხდება მასალის თეორიული საფუძვლების მიწოდება.

დემონსტრირების მეთოდი - მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის სხვადასხვა შემადგენელი, ვაჩვენოთ და დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ეს მეთოდი ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

პრაქტიკული მეცადინეობა - ტარდება პრაქტიკული მეცადინეობა სასწავლო თვალსაჩინო მასალების გამოყენებით, ეს მეთოდი ვიზუალურად რეალურ ვითარებაში წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

წიგნზე მუშაობის მეთოდი - დამოუკიდებელი მუშაობის საათებში სტუდენტები ამუშავებენ ლიტერატურას და დამხმარე მასალებს.

საშინაო დავალება - დამოუკიდებელი მუშაობის საათებში სტუდენტები ასრულებენ კონკრეტულ დავალებებს, მასწავლებლის მიერ მითითებული ფორმით.

ჯგუფური მუშაობა - მეთოდით სწავლება გულისხმობს პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას მუშაობის პროცესში.

შემთხვევის ანალიზი - აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების - სიტუაციების გადაჭრის გზით.

დისკუსია - დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. აღნიშნული პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ

დასმული შეკითხვებით. მეთოდი უვითარებს პროფესიულ სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

ვიდეოსადემონსტრაციო მეცადინეობა - მიმდინარეობს მასწავლებლის მიერ სპეციალურად თემატურად შერჩეული ვიდეომასალის დემონსტრირება, განხილვა, შეფასება, გაანალიზება. ვიზუალური აღქმა ამაღლებს სტუდენტების ჩართულობას და ზრდის დაინტერესებას.

16. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ.

- პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის სასწავლებელს გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-საკლასო ოთახები თეორიული სწავლებისათვის;
- ბიბლიოთეკა, სასწავლო კურსის შესაბამისი და თემატური ლიტერატურით;
- კომპიუტერული კლასი 11 კომპიუტერთა და ინტერნეტურუნველყოფით;
- სასწავლო კაბინეტი- მოდელირებული პალატა;
- ქიმიის ლაბორატორია;
- სასწავლო თვალსაჩინოებები საგნების მიხედვით;
- ვიდეოსადემონსტრაციო თვალსაჩინო მასალა;
- სამედიცინო მოწყობილობები და ინვენტარი;
- სამედიცინო ინვაზიური მასალა და ინსტრუმენტები;
- მოვლის საშუალებები: თეთრეული, ჭურჭელი, ჰიგიენური საფენები, ჰიგიენის ნივთები და სხვა;
- ავადმოვლისათვის საჭირო სამედიცინო ინსტრუმენტები.

ტექნიკური ბაზა:

პროგრამა ხორციელდება შპს მარნეულის კოლეჯში მისამართზე: ქალაქი მარნეული 26 მაისის ქუჩა N80. დაწესებულების საერთო ფართობი შეადგენს 560 მ²/კვ, აქვს საკუთარი დამოუკიდებელი შესასვლელი, სან-ჰიგიენური წერტილები, მ. შ. შშმ პირებისათვის. სათავსოები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო აუდიტორია, სამასწავლებლო, დირექტორის და ადმინისტრაციის კაბინეტი. საწარმო პრაქტიკა ხორციელდება კლინიკებში ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე.

17. დასაქმების სფერო

მოსავლელი პირის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით (ასაკობრივი, სოციალური, ფსიქოლოგიური) და დაავადების სიმძიმისა და თავისებურებების გათვალისწინებით მესამე საფეხურის ექთნის თანაშემწე შეიძლება დასაქმდეს: სტაციონარებში, ხანგრძლივი სამედიცინო მომსახურების დაწესებულებებში (მოხუცთა სახლი, ბავშვთა თავშესაფარი...) ბინის პირობებში, ძიძად, მგზავრობა-მოგზაურობის დროს, ჰოსპისში.

პროგრამის ბიუჯეტი

- ერთი კრედიტის ღირებულება ექთნის თანაშემწის პროგრამის განხორციელებისას შეადგენს დაახლოებით 300 ლარს;
- ერთი სტუდენტის სარეკომენდაციო გადასახადი --- 3000 ლარი;
- სტუდენტების რენტაბელური რაოდენობა --- 10 სტუდენტი

პროგრამის დანართები

დანართი 1	კომუნიკაცია 1
დანართი 2	ინგლისური ენა
დანართი 3	ლათინური ტერმინოლოგია
დანართი 4	მათემატიკა

დანართი 5	სამედიცინო ქიმია
დანართი 6	გენეტიკის საფუძვლები
დანართი 7	ზოგადი ჰიგიენა
დანართი 8	ადამიანის ნორმალური ანატომია
დანართი 9	ბიოეთიკა
დანართი 10	ბიოლოგია/მიკრობიოლოგიის საფუძვლებით
დანართი 11	პრაქტიკა ანატომია
დანართი 12	სასწავლო პრაქტიკა 1
დანართი 13	კომუნიკაცია 2
დანართი 14	საინფორმაციო ტექნოლოგიები
დანართი 15	საზოგადოებრივი ჯანდაცვა
დანართი 16	ინფექციის კონტროლი ავადმყოფის მოვლის საქმეში
დანართი 17	ფიზიოლოგია/პათოფიზიოლოგიის საფუძვლ
დანართი 18	ავადმყოფის მოვლა
დანართი 19	ბავშვთა მოვლა/პედიატრია
დანართი 20	მეან-გინეკოლოგია
დანართი 21	მოხუცებულთა მოვლა/გერიატრია
დანართი 22	ფარმაკოლოგიის საფუძვლები
დანართი 23	ფიზიოთერაპია
დანართი 24	პირველადი სამედიცინო დახმარება
დანართი 25	სასწავლო პრაქტიკა 2
დანართი 26	საწარმოო პრაქტიკა
დანართი 27	პროგრამის განმახორციელებელი პირები
დანართი 28	სასწავლო გეგმა